1518.

25 თებერვალი 1918 წლისა. ფასი ნომრისა 80 კაპ.

წელიწადი პირველი.

ახალი სიტყვა

№ 1. ორკვირეული ჟურნალი. № 1.

შემდეგი ნომერი გამოვა 12 მარტს.

მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ, სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ჟურნალ **„ახალ სიტყვაზე“-ზე.**

ჟურნალის მიზანია საქართველოს ეკლესიის ფაქტიური განახლება წმ. სახარების ნიადაგზედ და ბრძოლა ყოველგვარ ჩაგვრა-უსამართლობასთან სასულიერო უწყებაში.

გაზეთი დააარსა **ყოფილ გაზეთ „სიტყვის“ (1906 წ.) ფაქტიურ ხელმძღვანელთა თანხმობით** თბილისის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამღვდელოების და მორწმუნე ერის კაცთა ჯგუფმა.

საგამომცემლო ამხანაგობის საწევრო გადასახადი (თითო პაი) ათი თუმანია, რომელიც შეიძლება შემოტანილ იქმნეს ორ ნაწილად.

ხელისმოწერის ფასი ექვსი თვით ცხრა მანეთი, თუ ბეჭდის პირობები არ შეიცვალა.

ცალკე ნომერი ოთხი აბაზი.

საწევრო გადასახადი და ხელისმოწერის ფასი მიიღება რედაქციის მოლარე დეკანოზ **ანტონ თოთიბაძესთან:** თბილისი, სიონის საკათედრო ტაძრის ეზო.

დამფუძნებელთა მიერ არჩეული სარედაქციო კოლეგია სთხოვს თანამოაზრეთ დააჩქარონ საწევრო გადასახადის შემოტანა, ვინაიდგან, გამოცემის ფრიად გაძვირების გამო, ფულის დროზე მიღებისგან ბევრად დამოკიდებულია გაზეთის გაფართოვება და ყოველნაირი გაუმჯობესება.

გარდა სამღვდელოების და კერძო მორწმუნე ერის კაცთა, რომელთა მხურვალე მონაწილეობაში ყოფილ „სიტყვის“ მაგალითით სრულიად დარწმუნებულნი ვართ, ვთხოვთ განახლებულ ეკლესიის ადგილობრივ მესვეურთ—სამრევლო საბჭოებს აღმოგვიჩინონ ქონებრივი დახმარება, გარდა გაზეთის გამოწერისა საგამომცემლო პაების შემოტანით მათ დამორწმუნებულ ეკლესიების თანხიდან.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლეგიის რწმუნებულ მღვდ. ქრ. ციცქიშვილთან: თბილისი, 7 ნაწ., კაბგეროვის ქ., № 47.

რედაქცია იმავე ქუჩაზედ, № 51.

1918 წლის 25 თებერვალი

დღეს, როდესაც ცხოვრება ათ-თხუტმეტჯერ გართულებულია და კერძოდ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა იმდენათ გაძვირდა ქაღალდის შოვნის თუ ხელფასის მხრით, რომ უძველესნი გამოცემანიც კი ძლივს ლაფავენ სულსა,—სამღვდელოების და მორწმუნე ერის-კაცთა ჯგუფი კადნიერდება გამოსცეს საკუთარი ორგანო.

რატომ?—იმიტომ, რომ ეს ძლიერ საჭიროა, რის გამოც აუცილებლად უნდა გაკეთდეს მიუხედავად იმისა, ძნელია მისი გაკეთება თუ ადვილი. უკვდავი ჭეშმარიტებაა რომაელთა თქმულება: „დესსუმ, ერგო ბოსსუმ“ [მე ვალდებული ვარ და მაშასადამე შემიძლიან]. სწორედ ამ დევიზით ხელმძღვანელობს ეს ჯგუფი. მას ღრმადა სწამს, რომ შეუძლებელი არა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, თუ გამორკვეულ სურვილს მტკიცე იდეა აღვივებს და გულს აღმაფრთოვანებული მიზანი ათბობს.

მიზნის და იდეის მხრივ ჩვენი ჯგუფი ყოველნაირ თანაგრძნობა-დახმარების ღირსია იმათგან, ვისაც რამოდენადმე მაინც სწამთ ეროვნულ, მშობლიურ ეკლესიის მნიშვნელობა.

ქართველ სამღვდელოებას და ეროვნულ ეკლესიის მეგობრებს შემთხვევამ შეაძლებინა სისრულეში მოეყვანათ ქართველ ერის დიდი ხნის სურვილი—ჩვენის ეკლესის უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლება. 1917 წლის 12 მარტმა, 15 აგვისტომ და 17 ენკენისთვემ მართლაც ახალი ეპოქა შეჰქმნეს ქართულ ეკლესიის ცხოვრებაში. მაგრამ ეს იყო და ესა. აქ საქმეს ვებერთელა წერტილი დაესვა,—და განახლების წინასიტყვაობას ფაქტიური განახლება ჯერაც არ მოჰყოლია. ავირჩიეთ პატრიარქ-კათოლიკოზი და მიტროპოლიტები, გავხსენით ახალი საეპისკოპო კათედრები, დავიბრუნეთ სასწავლებლები და ჩვენი კაცები ჩავაყენეთ. მაგრამ გულწრფელობა უპირველესი საგანია საზოგადო საქმეებში და გულწრფელად თუ ვიტყვით, ძველ თხიერება და ახალ ღვინოსი არ იყოს, ყველაფერით ამით საგულისხმო ახალი ჯერჯერობით არა გაკეთებულა რა იმ დიად საქმისათვის, რომელსაც შევჰხაროდით,—ეკლესიის ფაქტიურ განახლებისათვის ან უკეთ რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისი იყო იმ განახლებისა, რომელიც რევოლიუციის ხანაში რევოლიოცინურ სისწრაფით უნდა მომხდარიყო.

ნამდვილად კი პირველ აღფრთოვანების შემდეგ რევოლიუცია თითქოს უკუვაგდეთ და მძიმედ მავალ, მეტად ფრთხილ და უსიცოცხლო ევოლიუციას დავემყარეთ. მართალია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა და შეიძლება სიფრთხილე მეტად საჭირო იყოს ისეთ სათუთ საქმეებში, როგორიც არის საეკლესიო საკითხები. მაგრამ ერთია სიფრთხილე და სულ სხვაა ის უმოქმედობა და სხვის ხელში შეცქერა, რასაც ღღეს განვიცდით: აბა რომელი პარტია გადმოგვხედავს მოწყალე თვალით და რას გადმოგვიგდებსო.

არა! ასეთი სიფრთხილე დასაგმობია! ეს ისევ და ისევ ეკლესიის ნელ სიკვდილს, მრევლის წმუნეთა ხელის კვრას და სამღვდელოების დამონავებას უდრის. ეს კი ღმერთმან ნუ ჰქნას. ჩვენთვის საჭიროა ფართო მასსიური თვითმოქმედება, რომელშიაც ალბად ხელს არ შეგვიშლიან და პირიქით ყოველივე ძალ-ღონით დაგვეხმარებიან ჩვენგან არჩეულნი მმართველგამგენი,—გვესაჭიროება დაუყონებლივი განახლება და ერთხელ სამუდამოთ უარყოფა ყველაფერ იმ არა-ეკლესიურისა, რაც ძველმა რეჟიმმა უცხოთა ბატონობის დროს ჭუჭყიან ხელებით შეთითხნი ჩვენს ეკლესიას.

მაგრამ რომ მოუფიქრებელი ნაბიჯები ამ თავითვე შეუძლებელი გავხადოთ, მკრთალ ფერის მარგალიტი უბრალო ბრჭყვიალა ქვისაგან გავარჩიოთ, ნამდვილად ღვთისა ღმერთს მივართვათ და კეისარს მხოლოდ კეისრისა, ცრუმორწმუნეობანი სარწმუნოების სამარადისო დოგმებში არ ავრიოთ და მუყაითა მარგვლის დროს ეკლიან ბალახს ხორბლის ნორჩი ყლორტები თან არ მივაყოლოთ.—საჭიროა აზრთა საჯარო გაცვლა-გამოცვლა, აუცილებელია საკუთარი და იმავე დროს საეპარქიო მთავრობისგან დამოუკიდებელი ორგანო. საერო და განსაკუთრებით პარტიულ ორგანოებს ჩვენთვის არა სცალიათ ამ დროებით, ხოლო ორგანოსი ამ დროინდელ სასულიერო მთავრობისაგან დამოკიდებულება თუ საშიში არ არის, ყოველ შემთხვევაში შემავიწროებელი და უხერხულია თავისუფალ აზრისათვის.

მაგრამ არის მეორე არა ნაკლებ პატივსადები გარემოებაც, რომელიც უკარნახებს გამომმომცემელ ჯგუფს უპირატესობა ოფიციალურ საეპარქიო გამოცემის წინაშე კერძო დამოუკიდებელ ორგანოს მისცეს. ეს არის ის იდეური, პირდაპირი და შეუბრალებელი ბრძოლა, რომელიც განახლებულ ეკლესიის მეგობრებმა უნდა გამოუცხადონ საეკლესიო სფეროში ყოველსავე ფარისევლობას, ფლიდობას, მიკერძება-კინკლაობას და უსამართლობას, ვისგანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი, საპატიო გვამთაგან დაწყებული ეკლესიის უბრალო მსახურამდე...

აი ეს არის „ახალი სიტყვის“ მიზანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშვნულება, ეს არის ჩვენი გზა. არც სახელი, არც პატივი, არც სარგებლობა ამ გზაზედ არავის მოელის.

ვისაც სურს ამ გზით სიარული, მობრძანდეს—და სიამოვნებით ვიველით ხელჩართულნი.

ვისაც კი აშინებს ეს გზა, სჯობია თავიდანვე არ მოგვეკაროს, ამაოდ არ სცადოს უჩვეულო ნაბიჯი. ვურჩევთ, ნურც წაიკითხავს ჩვენს გამოცვმას: სულის სიმშვიდეს მაინც შეინარჩუნებს. „დაიცადენ მკვდარნი დაფლვად თვისთა მკვდართა“ (სახ. მათესი, თ. 8, მუხ. 22.)

თავისუფლება და ეკლესია.

თორმეტი წლის გამუდმებულმა მოთხოვნამ საქართველოს ეკლესიის თავისუფლების შესახებ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი ეკლესია დღეს დამოუკიდებელია. მას აღარ ჰხუთავს თვითმპყრობლობის მოციქული – სინოდის მუხრუჭი. მაგრამ მარტო თავისუფლების მიღება არაკმარა, თავისუფლება ის ბასრი დანაა, რომელიც უგნურ ბავშის ხელში საშიში იარაღია და გონიერ ადამიანისაში კი დიდად სასარგებლო. თავისუფლები იყვენ და დღესაც არიან მრავალნი ველურნი ხალხნი, მაგრამ ამ თავისუფლებას მათთვის ბედნიერება არ მიუნიჭებია მათ არ იციან თავისუფლებას რა ფასი აქვს და ბევრსაც არ ინაღვლიან, თუ დაჰკარგავენ მას. მადლობა ღმერთს, ქართველმა ერმა შეიგნო თავისუფლების სიტკბოება, შეიტყო რა ძვირფასი გენძია იგი და ქვეყანას დაუმტკიცა ცხადად, რომ მას შეუძლია იბრძოლოს მის მოსაპოვებლად უკანასკნელი სისხლის წვეთამდის. დღეს ჩვენ მოწამე ვართ, თუ როგორის ნიადაგობით და თანდათანის გაძლიერებით სახიერდება საქართველოს თავისუფლება. განყენებული აბსტრიკტული საქართველო სისხლხა და ხორცს ისხავს, სწორედ ისე, როგორც წინასწარმეტყველ ეზეკიელის მიერ მოჩვენებით ხილულმა კაცის ძვლებმა შეისხეს სისხლი და ხორცი. სამშობლოს ცაზე თანდათან ირკვევა საქართველოს სახე, მისი მოხაზულობა, მთლიანი საქართველო, სწორედ ისე, როგორც ხელოვან მხატვრის წინ ტილოზე, თუ ფიცარზე, ბუნდოვან ჯერ გამოურკვეველი ხაზებისაგან თანდათან ირკვევა სურათი და ბოლოს წარმოსდგება მშვენიერი, სხივმფენი სანახაობა ბუნებისა, მის მოვლენისა, ანა და მის გვირგვინისა და მბრძანებელის—ადამიანის. დღეს ურწმუნთაც ირწმუნეს საქართველოს თავისუფლების აუცილებლობაც და შესაძლებლობაც.

საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას ქართველმა ერმა წაუმძღვარა წინ თავისუფლება ეკლესიისა. ვინც რა უნდა სთქვას, ჩვენ კი ამ ფაქტს დიდ ნიშვნელობას ვაძლევთ. ხალხი, თვინიერ სარწმუნოებისა, ურელგიო, წარმოადგენს ცხოველთა ჯოგს, რომელსაც ვერავითარი ძალა, ვერავითარი ადამიანის ავტორიტეტი ვერ მიადებინებს ზნეობრივ ვალდებულებათა საჭიროებას. ამას მმოწმებს ისტორიაც და დღევანდელი რუსეთის ანგრეულ დანგრეულობა, სადაც ურწმუნოების ხაზგასმით ქადაგებამ ხალხის მასსას ცხოველური ინსტრიკტები უმწვერვალესად აღუგზნა, რის შედეგებსაც ჩვენი თვალით ვხედავთ: ადამიანის ღირებულობის დაცემას, დაუნდობლობას, შეუბრალებლობას, თვითგასამართლებას და სხვა.

ეკლესია და რელიგია ხალხის ამამაღლებელი, ზნეობრივად განმასპეტაკებელი საშუალებაა. და ასეთი დანიშნულება რომ შეასრულოს ეკლესიამ, იგი თავისუფალი უნდა იყოს. ეს თავისუფლება ჩვენმა ეკლესიამ მოიპოვა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ხალხური ინდაზა: კარგ მშოვნელს, კარგმა მომხმარებელმა აჯობაო. თუ მომხმარებელი არ ვარგა, საქმე წასულია ამისთვის ყოველი შეგნებული მორწმუნე ქართველის მოვალეობაა მონაწილეობა მიიღოს ჩვენის საეკლესიო ცხოვრების, მისი სიცოცხლის განახლებაში. ას წელიწადზე მეტი იყო საქართველოს ეკლესია შებოჭილი. და იგი ხომ ის ზღაპრული ხელმწიფის ასული არ არის, რომელიც სამასი წლის ძილს შემდეგ ისევ ისეთი აღსდგა ძილის შემდეგ, როგორიც მის წინ იყო. ერთს წერტილზე შეჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ყველასა და ყველაფრისათვის—სიკვდილია. არ კმარა—საქართველოს საეგზარხოსოს საქართველოს საკათოლიკოსო დაერქვას, არ კმარა ძველი ტიტულების აღდგენა, ძველის საკათოლიკოსო შესამოსლების გამომზეურება. საჭიროა ფხიანობა, შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, უნარი მმოქმედ ძალების შემჩნევისა, დაფასებისა და მათი შეთანხმებულათ დარაზმვისა. ნაკლები „მეობა“ და მეტი „ჩვენობა“. საქმე ბევრია. ეკლესიური ცხოვრება როგორც ყოველივე ამ ქვეყნად, ცვალებადობას განიცდის, იგი თან დათან უნდა ახლდებოდეს და უმჯობესდებოდეს. ამ ცხოველმყოფელი განახლების გზაზე მტკიცე სიარული არის დანიშნულება ქართული თავისუფალი ეკლესიისა.

მღ. ქრ. ციცქიშვილი.

გაუგებრობა თუ ძველი გზა?

(წერილი სამურზაყანოდან.)

თბილისიდან ხმა მოვიდა, რომ, წინადმდეგ საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებისა, საინგილო ზაქათალაში ამ მოკლე ხანში არსდება ცალკე ეპარქია, რომლის გახსნას და შენახვას ვითომ ჩვენი საკათოლიკოზო საბჭო კისრულობს.

ამ ხმამ აქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არავის არ სჯერა, რომ ასეთი უსამართლობა მოხდეს ამ დროს, როცა კათალიკოზ-პატრიარქად ბრძანდება თვით ჩვენი ყოფილი ეპისკოპოსი მეუფე კირიონი, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ სადმე საქართველოში ახალი კათედრა გაიხსნება, პირველი ჯერი აფხაზეთ-სამეგრელოს უნდა იყოს.

მაგრამ ამ სამწუხარო ამბავს, რომ ჩვენმა მთავრობამ რაღაცა მოსაზრებით დაივიწყა სიმონ კანანელის სავანე და ერთ შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ სახიფათო კუნჭულს მიაპყრო მოწყალე თვალები, აქ ისე დანამდვილებით იმეორებენ, რომ არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მასა.

რამდენად ვიცით, საეკლესიო კრებამ საქართველოში ცამეტი ეპარქია დააწესა: მცხეთის, თბილისის, ალავერდის, ბოდბის, ურბნისის, აწყურის, ქუთაისის, გენათის, ნიკორწმიდის, ცაგერის, ჭყონდიდის, ბათომ-შემოქმედის და ცხუმ-ბედიისა.

როგორც ხედავთ, ამ სიაში საინგილო-ზაქათალის ხსენებაც აღარ არის. ცამეტ კათედრაში ექვსლა ჰყავს მღვდელმთავრები და შვიდი ჯერჯერობით დაქვრივებულია. მაშ რა საჭიროება მოითხოვს სრულიად საქართველოს კრების დადგენილობის გადალახვას და ჯერზე ადრე, კრების დაუკითხავად ახალ ეპარქიის დაარსება-გახსნას, ვერ გაგვიგია. ამბობენ, რომ ამას რაღაცა კერძო მოსაზრებით შვრებიანო. მაგრამ შორს ყოველივე „კერძო მოსაზრებანი“! ნურავინ სასაცილოდ ნუ აიგდებს ერის სურვილს! თორემ ამ „მოსაზრებით“ რომ ვიაროთ, ყოფილ ექსარხოსების გზას დავადგებით: პირადი სიმპატიებ-ანტიპატიის წყალობით ქართველ სამრევლოებს კეტავდნენ და განთავისუფლებულ ჯამაგირით უცხოეთიდან გადმოხვეწილებს უარსებდნენ ეკლესიებს და სამრევლოებს... მაგრამ ეს გზა ჩვენც იმ ზნეობრივ სიკოტრემდე მიგვიყვანს, რომელიც ბოლო ჟამს თვითონ იგრძნეს რუსის ექსარხოსებმა.

თუ კრება შესცდა, კრებამვე გაასწოროს თავისი შეცდომა, მაგრამ ნურავინ ნუ მიითვისებს მის უფლებას ნურავისი სასიამოვნოდ. კრებამ კი არა გვგონია ამ ჟამად მოისურვოს საინგილოში ცალკე ეპარქიის გახსნა. ეს ხომ ამ მგომარეობაში პირდაპირ ომის გამოცხადებას უდრის, პროვოკაციას წაგავს...

ამიტომ ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ საკათოლიკოზო საბჭოსაგან პირდაპირი პასუხი მოგვცეს პრესის საშვალებით: მართალია თუ არა ეს ხმები? გაუგებრობაა თუ ძველი გზა?

ივ. ნაჭუეტია.



ბნელეთის სამეფოდან

ეს ვინ არის?

შვიდ მარტს 1917 წლისას კრება იყო მთაწმინდის საეკლესიო სკოლაში თბილისის სამღვდელოებისა აზრების გასაზიარებლად ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერთშორის შესახებ პოლიტიკურ მომენტისა და საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისა. სამღვდელოება ნელ-ნელა იკრიბება. შემოდის ერთი დეკანოზი, რიგიანად დამრგვალებულ მუცლიანი და ძილით თვალებ-დაბერილი x, მიდის ოთახის ერთ კუთხეში, იჭერს ორი კაცის ადგილს და იწყებს ლაპარაკს თავის გვერდით მყოფ პირებთან რევოლიუციის შესახებ და თან აგრძნობინებს მოსაუბრეთ, რომ იგი დიდი მონაწილე იყო რევოლიუციისა და ახლაც იმას მოითხოვს მედგრად, რომ არ ჩაქრეს რევოლიუციის ცეცხლი კერძოთ ქართველ სამღვდელოებაში. მეო, ამბობდა პატივცემული (და უფრო კი ნაპატივარი) დეკანოზი, რევოლიუციონერი ხუცესი ვარ და არ შემიძლია მოვითმინო ბევრ ჩვენ სამღვდელო პირთან კავშირის დაჭერაო. ამბობდა ამას და თან ანაფორის სახელოებს იკეცავდა მკლავებზე. შემოდის ერთი არქიმანდრიტთაგანი კრებაზე; დეკანოზი x დაბალის ხმით ეკითხება თავის მოსაუბრეთ: ეს ვინ არისო?—უპასუხებენ: მამაო, ეგ ესა და ეს ... ციაა, გვარა ვერ იცნობ-ეო.—ცნობით კი ვიცნობ, მაგრამ მე მაგას ვერ ვენდობი, ეგ ქვეყნის მოღალატეა და აქ რა უნდა მაგასაო. ეგ ძეგველოვისეულ დოშს სჭამდა (ალბათ უმისოთ) ერთ ადგილასაო. მსმენელებს უკვირთ „რევოლიუციონერ“ დეკანოზის ნათქვამი. შემოდის დეკანოზი ანი, „რევოლიუციონერი ხუცესი“ ამაზედაც იმეორებს: „ეს ვინ არის?“—შემოდის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე... და „რევოლიუციონერი ხუცესი“ მათ შესახებაც ცხარედ (ორსამ „ნეიტრალ“ კაცის გასაგონად) იძახის: „ეს ვინ არის?“ ამას რა უნდა აქა? მე ქალაქში ვერავის ვერ ვენდობი სამღვდელოებიდან. ეგენი სულ ჩემი მტრები არიან და ქვეყნის მოღალატენი.“ რევოლიუციონურ ცეცხლით აღგზნებულმა ხუცესმა არ დაინდო დიდი უმრავლესობა მოსულთა. არც ყოვლად საინო და უწყინარი ანი, არც ზრდილობიანი და ჩუმი მუშაკი, ავტოკეფალიის საკითხის აღმძვრელთაგანი და მისი მეცნიერულად და პრაქტიკულად ნიადაგი დამცველი ბანი, არც ძველი ქართულ მწერლობის მუყაითი მაძიებელი განი, არც დონი, არც ენი არც ვინი... და არც სხვანი. ყველას შესახებ ერთსა და იმავეს იმეორებდა: ეს ვინ არის, ამას რა უნდა აქა? მე მაგას ვერ ვენდობი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ „რევოლიუციონერი ხუცესი“ ძალიან მწყრალად უნდა ბრძანდებოდეს სახარებასთან, რომელშიც ასეთი მარგალიტებია გაბნეული: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა... ყოველი რომელი გინდეს თქვენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყავთ მათ და მიმართ... ანუ რასა ჰხედავ წვილსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირეს თვალსა შინა შენსა არა განიცდი?“.

დასასრულ ჩვენც მივმართავთ მკითხველებს ამ ზემოაღნიშნულ „რევოლიუციონერ ხუცესის“ შესახებ, გამოიცნონ: „ეს ვინ არის?“.

ჯაჭვაძე.

თავმოსაჭრელი სიჩუმე.

იმას, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ და რაც საკუთარი ყურით მოსმენილი სტენოგრაფიულ ანგარიშს წარმოადგენს, ალაგი ჰქონდა 1915 წლის გიორგობისთვის 5—ქ. თბილისში ერთ პატივცემულ ქართულ ოჯახში, რომლის დიასახლისმაც გამოსათხოვარი საღამო გაუმართა საქართველოს ყოფილ ექსარხოს პიტირიმს, რომელიც იმ ჟამად მიემგზავრებოდა პეტროგრადს სინოდის სხდომაზე დასასწრებლად.

მოწვეულთა შორის თავის თავად გაიმართა საგულისხმო საუბარი. მ. სუმბათაშვილმა და ი. აფხაზმა გრძნობით სავსე სიტყვებით მიმართეს ექსარხოსს, უკანასკნელმაც, საერთო თანაგრძნობით გამხნევებულმა, შუბლი გაიხსნა და ბევრი რამ საყურადღებო გაგვაგონა.

„ქართველებიო“, სთქვა პიტირიმმა: ერთობ მგრძნობიარე და გულ-ჩვილები ხართ და ხათრიანობის გამო არ იცით თქვენი თავის დაცვა გარეშეთაგან, როდესაც ისინი უსინდისოთ გექცევიან. აი მრავალთაგან ერთი მაგალითი ამისი.

თბილისში დაბარებულები მყავდნენ საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლების რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული ენის ყველა მასწავლებლები. დაბარებულებს უნდა გამოენახათ ზომები რუსული ენის სწავლების საუკეთესო დაყენებისა სასწავლებლებში. ბევრი ფიქრისა და აღებ-დაღების შემდეგ, ხსენებულ პედაგოგებს გამოეტანათ ასეთი დასკვნა: ქართველ მოსწავლეებს რუსული ენის შეთვისებაში ხელს უშლის ის, რომ ოგინი ერთმანეთში ლაპარაკობენ ქართულად და თან სწავლობენ კიდეც ამ ენას. სასურველად დავინახეთ, რომ აეკრძალოთ მოსწავლეებს ურთერთმორის ქართულად ლაპარაკი და ყველა გაკვეთილები ქართული ენისა მიემატოს რუსული ენის გაკვეთილებს. ასეთი ღონისძიებით გაუმჯობესდება ქართულ სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების საქმე.

მეუცხოვა ასეთი დადგენილება და მეძნელებოდა მისი დამტკიცება. მოვიფიქრე, ჟურნალს გადავცემ სემენარიის მმართველობას, იქ ქართველები არიან წევრებათ, თავიანთ საკუთარ აზრს გამოსთქვამენ და მეც იმათ მივემხრობი მეთქი. მაგრამ არ გამიმართლდა მოლოდინი. ჟურნალი უკან დამიბრუნეს მოხსენებით—უცვლელად უნდა შესრულდესო.

მე ვერ მივხვედრილიყავ, რა საბუთით უნდა ამომეფხიკა საეკლესიოს სასულიერო სასწავლებლების პროგრამიდამ ქართული ენა იმდროს, როდესაც ქართველები მოითხოვენ ავტოკეფალიას. ავდექი და ის ჟურნალი გავუგზავნე ეი ამ ჩემს თანაშემწეს, ქართველ ქორეპისკოპოსს, დაიმედებული, რომ ის ყოვლისავე მიზეზების გარეშე დაიცავდა მის სამშობლო ენის ინტერესებს.

ჩემდა სამწუხაროდ, არც ამ ხელად გამიღიმა ბედმა: ჟურნალის შინაარსი პედაგოგიური თვალსაზრისით ჩინებულათაა დასაბუთებული და იგი უცვლელად უნდა გატარდეს სასწავლებელთა ცხოვრებაშიო, მომახსენა ქორეპისკოპოსმა. ამის შემდეგ კი ისევ მე ვიდე თავზე ქართული ენის დაცვა და უარ ვყავი რუსული ენის მასწავლებელთა დადგენილება. ასე იყო, თქვენო მეუფეებავ, საქმე თუ არაო, შეეკითხა პიტირიმი მის გვერდით მდგომ ზემოთ ნაჩვენებ ქართველ მღვდელთ მთავარს და უკანასკნელმაც, დამსწრე სტომრაბის გასაგონათ დაადასტურა ნათქვამის სინამდვილე. ბევრს ჩვენგანს მაინც არა სჯეროდა ნაამბობის სინამდვილე. ვფიქრობდით, ექსარხოსი შემცდარია, მან არია ფაქტები და გაუგებრობის გამო ტყუილ უბრალოდ შეარცხვინა თავისი თანაშემწე ამოდენა საზოგადოებაშიო. დღე დღეზე მოველოდით, რომ შეურაცყოფილი ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით გამოარკვევდა საქმის ნამდვილ ვითარებას, მაგრამ აგერ მესამე წელიწადი გადის და ბრალდებულს კრინტი არ დაუძრავს.

ნაჩვენებ შემთხვევაში ეპისკოპოსის მხრივ სიჩუმე უფლებას გვაძლევს, დავსკვნათ, რომ ყოფილ ექსარხოსს პიტირიმს სრული სინამდვილე გადუცია ქართველებისთვის თავის მაშინდელ თანაშემწე ქართველ ეპისკოპოსის შესახებ, ე. ი. რომ უკანასკნელი შეგნებული მომხრე ყოფილა ქართული ენის გაძევებისა საერო სასულიერო სასწავლებლებიდამ და თუ ეს ასეა მაშინ ალარც ის უმგავსობა იქნება ხსენებულ ბატონის შესახებ დაუჯერებელი, რომელსაც შემდეგში გავუზიარებთ მკითხველებს.

ჭინჭარი.

✓ ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ გამო

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ წარსულ წლის სექტემბრის თვეში ითავა ჟურნალი „სვეტი ცხოვლი“ს გამოცემა. აირჩია სარედაქციო კოლლეგია და და გამოსცა კიდეც რამდენიმე ნომერი. ამ ბოლო ხანებში ეს სარედაქციო კოლლეგია გადაყენებული იქმნა, ვისგან ან რისთვის, ამაზე ცხადად არა თქმულა რა. ზურგს უკან არა საკადრისი ჩურჩული კი ყველას არ ესმის, როგორც ვიცით. საკათოლიკოსო საბჭოში შეუტანია მღვდელს იოსებ ჩიჯავაძეს თხოვნა: როგორც ყოფილ „სიტყვის“ გამოცდილ რედაქტორს „სვეტიცხოვლის“ რედაქტორობა მე მომანდვეთო. საკათოლიკოსო საბჭოს განუხილავს ესევითარი თხოვნა სარედაქტორო კანდიდატისა და დაუსახელებია ახალი სარედაქციო კოლლეგია: დეკ. კალ. ცინცაძე, ინგილო, ინგოროყვა, ვართაგავა, მღ. იოსებ ჩიჯავაძე და ქრ. ციცქიშვილი, რომელთაგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველს გადაჭრილი უარი განუცხადებია. რედაქტორი თვით კოლლეგიას უნდა აერჩია თავის წრიდან. მაგრამ კოლლეგიის დასახელებულმა წევრებმა მიიღეს საკათოლიკოსო საბჭოსგან წერილებითი ცნობა, მღ. ი. ჩიჯავაძეა დანიშნული რედაქტორადაო. მართალი რომ სთქვას კაცმა, საქმე იმაში ხომ არ არის, ვისი სახელი ექნება მოწერილი ყურნალს. არასასურველი აქ კოლლეგიურ დაწესებულების დაუმსახურებელი უგულებელს ყოფაა და დაჟინება: „ჩემი სჯობსო“, როგორც უკვდავ პოემაშია ნათქვამი.

აქ საქმის თაობაზე მღ. ციცქიშვილმა შეიტანა 22 იანვარს საკათოლიკოსო საბჭოში შემდეგი მოხსენება: „რადგანაც „სვეტი ცხოვლის“ ყოფილი სარედაქციო კოლლეგია (დეკ. ცინცაძე, მღვდელნი: ალექსი მიქელაძე, ილია შუბლაძე და მე) გამოუკითხავად, თუ განუკითხავად, ძველებურ მესამე პუნკტისებურად, გადაყენებულ იქმნა და რადგანაც ახალი („სვ. ცხ.“) სარედაქციო კოლლეგიის შედგენის დროს გადაწყვეტილი იყო კოლლეგიას თვით აერჩია რედაქტორი თავის წრიდან, მაგრამ კოლლეგიის წევრებისათვის გაუგებარ მიზეზებისა გამო რედაქტორი ადმინისტრატიულად იქმნა დანიშნული,—მე უარს ვაცხადებ „სვეტი ცხოვლის“ სარედაქციო კოლლეგიის წევრობაზე.“

ქრონიკა

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რუსეთის ახალი პატრიარქი ტიქონი ცდილობს პირადის მაგალითებით გაატაროს სამღვდელოების ცხოვრებაში ქრისტიანულ თანასწორობის და მარტივობის პრინციპები. განურჩევლად მორწმუნეთა სოციალურ მდგომარეობისა, მხოლოდ მაშინ აძლევს მათ ხელსა საკუნელად, როცა შემოსილია და ჯვარი უჭირავს. დანარჩენ შემთხვევებში, შინ თუ გარედ, უბრალოდ ხელის ჩამორთმევით ესალმება ყველას, ვინც უნდა იყოს, როგორც სწორი სწორსა. გადაუგდია მიტროპოლიტების დახურული კარეტები და ღია ეტლით, სადაც შეიძლება ფეხითაც კი დაიარება. ამ მხრით ტიქონზე ვერ გასჭრა ვიღაცებისაგან მოწყობილმა პროვოკაციამ, როცა მას თითქოს გასაჩხრეკად და ნამდვილად კი შესაშინებლად შინ ეწვივნენ სალდათის ფარაჯებში გამოწყობილი სტუმრები და სახლის მორთულობა მიულეწ-მოულეწეს.

* * *

ენისეისკის ყოფილი ეპისკოპოზი ნიკონი, ქვეყნად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბეზსონოვი, რომელმაც უკვე დასტოვა სასულიერო წოდება, დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს წევრად.

* * *

გაზეთებში გამოცხადებული მცხეთის ჯვარის მონასტრის მღვდელმონაზონ მირიანის არქიმანდრიტად კურთხევა ვერ მოხერხდა, ვინაიდგან ჯვარის მონასტერი აღმოჩნდა თბილისის ეპარქიის ტერიტორიაზედ, ხოლო თბილელ მიტროპოლიტმა ლეონიდემ მირიანის, როგორც ხსენებულ მონასტრის წინამძღვრისა, არქიმანდრიტად კურთხევა ძალიან ნაადრევად სცნო...

* * *

თბილისში მახათის გორაზედ გაშენებული ნიში წმ. ილიას სახელობისა მიეწერა მცხეთის საკრებულო ტაძარს და იქ მღვდლად დაინიშნა ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ტაძრის ყოფილი დიაკონი მ. ტიმოთე ბაკურაძე, რომლის ხელდასხმა შეასრულა მცხეთის მთავარეპისკოპოსმა და სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოზმა კირიონ მეორემ ანჩისხატის ტაძარში.

* * *

საქართველოს ეკლესიის აღდგენის შემდეგ ამა წლის 14 იანვარს სიონის ტაძარმა პირველად იდღესასწაულა თავისუფალი ნინოობა. მწირველნი იყვნენ პატრიარქ-კათოლიკოზი კირიონი II და თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე ადგილობრივი სამღვდელოებითურთ. საზოგადოება იმდენი მოაწყდა, რომ სიონის ტაძარში ბოლოს შესვლა შეუძლებელი გახდა. ბლომად იყვნენ რუსებიც. მაგრამ ღვთის მსახურება, სამწუხაროდ, ისეთის ზეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით ვერ იყო მოწყობილი, როგორც ეს შეიძლებოდა და უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა მოუმზადებლობა. სხვა ნაკლულევანებათა შორის აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „განიცადენი“, როცა დიდძალი დამსწრე საზოგადოება სმენად იქცა, აბა ვინ როგორის ღირსეულ სიტყვით შეამკობს ამ დღესო, მხოლოდ მგალობლებს დარჩათ სავარჯიშოდ. პარაკლისის წინ კიმიტროპოლიტმა ლეონიდემ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა გაზეთ »საქართველო«-ში (16 იანვარი, № 12). გარდა ამისა გაზეთ »ვოზროჟდენიე«-ში 19 იანვარს, № 14, დაბეჭდილია ამ დღის შესაფერისი სიტყვა თვით პატრიარქ-კათოლიკოსისა.

* *
*

თბილისის სამიტროპოლიტო საბჭოსთან დაარსდა წიგნის-მკითხველის, დიაკონის და მღვდლის ხარისხის მაძიებელთა გამოსაცდელი კომისია. საღვთისმეტყველო განათლების მქონეთა გარდა ვერც ერთ ზემოაღნიშნულ თანამდებობთაგანს ვერავინ მიიღებს უეგზამენოდ. ფრიად სასურველია, რომ დანარჩენ საეპარქიო საბჭოებმაც რაც შეიძლება საჩქაროდ შემოიღონ კანდიდატების გამოცდა, თორემ მარტო დამოუკიდებლობა ვერას უშველის ეკლესიას. პირიქით, მწარე სინამდვილე გვიჩვენებს, რომ წესიერებას მოკლებული თავისუფლება საშიში საგანია უვიცთა ხელში. დღეს ჩვენს ტაძრებში კითხვა, გალობა და ქადაგება ისე ცუდად არის დაყენებული, რომ მალე ისინიც მოგვშორდებიან, ვინც წელიწადში ორ-სამჯერ მაინც მოდიოდნენ საყდარში. სამწუხაროა, რომ საკათოლიკოზო საბჭოს დღემდინაც ყურადღება არ მიუქცევია ამ საქმისათვის.

* *
*

იმერეთიდან გვეკითხებიან: 1917 წლიენკენისთვის საეკლესიო კრების დადგენილებათა ოქმები ვისიმე დიპლომატიურ საიდუმლოებას შეადგენენ თუ ოდესმე გამოქვეყნებულ იქნებიან? სამწუხაროდ, პასუხს ვერ გავცემთ საჭირო ცნობების უქონლობისაგამო. იმედია, ისინი გამოეხმაურებიან ამ შეკითხვას, ვისაც ეს ოქმები აბარიათ.

* *
*

26 იანვარს განხორციელდა ქართველ ერის დიდის ხნის ოცნება და დიდებულად დაგვირგვინდა პროფესორ ივ. ჯავახიშვილის თორმეტ წლის მეცადინეობა: ქართულ გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. აუწერელია შვება-აღფრთოვანება იმ რაოდენიმე ათას ქართველებისა, რომელნიც ამ ზეიმს დაესწრნენ. კალამი სუსტია ღირსეულად აღნიშნოს ეს დიადი დღე ქართველობის ეროვნულ მისწრაფებათა აღორძინება-გამარჯვებისა. და ჩვენც მხოლოდ სამი სიტყვით აღვნიშნავთ ამ დიდებულ დღესასწაულს: ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა.

სამღვდელოთაგან მიწვეულია პროფესორად სემინარიის რექტორი დეკ. კორნილე კეკელიძე. მსმენელთა შორის ჩარიცხულ იქმნენ მღვდლები: ბედიაშვილი სპ., გორგაძე არჩ., მენთეშაშვილი ეგ., ციცქიშვილი ქრ., შუბლაძე ილ. და არქიმანდრიტი იოვანე (მარგიშვილი).

* *
*

31 იანვრის გაზ. „საქართველო“-ში (№ 25) დაბეჭდილია ვრცელი „სიტყვა, თქმული მისი უწმიდესობის კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II მიერ 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს“. როგორც დანამდვილებით ვიცით, კათოლიკოზ-პატრიარქს 26 იანვარს არსად და კერძოთ უნივერსიტეტში ამისი მსგავსი არა უთქვამს რა. ამიტომ გვიკვირს და ვერ გაგვიგია, ვის და რა მიზნით სჭირდება მისი უნეტარესობის სახელით ბოროტად სარგებლობა და უთქმელ „სიტყვების“ ნათქვამად თხზვა და ბეჭდვა.

გამომცემელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული მღ. ქრ. ციცქიშვილი.

თბილისი, სტამბა „სორაპანი“.